

საქართველო მუსიკა

ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი ღ ა მ ა ტ ე ბ ი

გაზეთი № 240

დამაცემის № 43

პირა, 22 მარტი 1915 წ.



და პრეზე გათ: გიზვარდეთ ერთმანეთი.

გირჩელით ხელი

(შემდეგი *)

13.

ეხლა კი თითქმ შემოდგომამ შესდგა ფეხი მათ ცხოვრებაში და შეაყითლა ფოთოლი მათის სიაშისა, გული როგორლაც დაუთო- თვილა მან და ჩამოაცალა თვალთაგან ნათელი ძხიარული; ბორო- ტის ლანდი მოაჩვენა მათ შორიახლო და ჩაუმუქა მათ ყოფა.

მარინემ ხელი გადაისვა თვალებზე, მიიხედ-მიიხედა და გამო- ერკვა მოგონებათა ბურუსიდან. მთელმა წარსულმა ისე განვლო მის გონიერებაში, როგორც რამ სიზმარმა მკაფიობ, და ამ ისევ ფერმკრთალ- ში სინამდებილემ შეანათა თვალები.

აგრ მისი ტიმოთე, მისი ხუცესი, გადაწოლილა გულალმა და ფშვინაჟ ტუქებ გადმობრუნებული; ხელ-ფეხი დასტოტყებ-დაპირ- ბია, მუცელი გაპერია, გაჩეჩილი წვერ-ულვაში ჯაგნარივით მოჰსდე- ბია მის ყინჩად ჩაწითლებულ სახეს.

— ისე ჩაწვა ე კაცი, პირჯვარიც არ გამოისახა, ღმერთი არ ახსნა. ეს იცის! მამაჩემი სულ სხვანაირად იქ უვა: ხანგრძლივ ლო- ცულობს ხოლო მუხლი მოდრეკით; ბევრჯერ ცრემლიც შემინიშნია მის თვალებზე ლოცვის დროს; ბალდებსაც ალოცებდა და ისე მოასვე- ნებდა მთელს ოჯახს. რა ვუყოთ, რომ უსწავლელია მამაჩემი! განა ვინც მსწავლულია, ღმერთი ალარ უნდა ახსოდეს!

ქალი ამ ფიქრებში იყო, რომ რაღაცა ფთხრიალი მოესმა. ჯერ შეკრთა უუცრად, მერე კი გააბენდა, რომ მისი ქმარი ხელცალიერი არ დაბრუნდა მრევლიდან: ფეხშეკრული ვარია მოიყვანა და იქვე მიაგდო კუთხეში. წელან ამას ყურადღება არ მიაქცია მარინემ, ეს- ლა კი გაითვალისწინა ეს პატარა შემთხვევა და გული ეტკინა.


*) იხ. სურათებიანი დამატება № 40.

— რა დროს შეწუხება იყო ი საწყობისა, როცა მომაკვდავი კაცი წინ უდევთ?! ალბად მოითხოვა, არ მოისურვა ხელცალიერი წამოსულა. მაგრამ მრევლიც ხომ ისე ჰყავს გაწვრთნილი, რომ უნუ- გეშოდ არ გამოუშევებენ. იციან, გულნაკლულად წამოვა მოძღვარი, ჯარის ჩაიტანს და მარჯვე შემთხვევაში ან აყედრებს, ან გააწვა- ლებს მათ.


ახ, არ მოსწონდა მარინეს ესეთი ქცევა ქმრისა. მისი ესეთი სიმკაცრე მაგრამ ვერაფერი გაეწყო, თქმისაც ეშინოდა: იცოდა, კა- ცი შეუტევდა მას და მოუხეშავად ჩააჩქმებდა. ბოლოს და ბოლოს ტიროვემ თითქმ მთლად დაკარგა მისი ხათრი და სიყვარული. რად? რისთვის? ქალი ხომ ისეც პატივცემით ეცყრობა მას, სიყვარული ხომ არ გასციებია მისადმი; მხოლოდ შვილოსნობამ და ზრუნვამ და- ჩაგრა ის, ბალდების ალზრდა-მოვლამ გარდაიჩანა თან. ვაჟაც კი არა პედამს ამას, არაფრად მიაჩნია ქალის მოქანცულობა და თავის უნის ანვითარებს.

— იმდენა სიბრალულიც ალარა აქვს ჩემი, რომ ერთი გამო- ცდილი მასხური მაინც დამიჭიროს, მშველელი. როგორი მღვდლის ჯალაბი ვარ, როდესაც ყოველწუთს დამკლავებული ვმუშავობ და იმდენი დროც არა მაქვს, თავისუფლად ამოვისუნთქმ, ჩემს თავს მო- უვარო და ქალური ეში შევინარჩუმო ან სისუფთავე. იძღლეს ისიც მისავედრო, სარეცხს სხვას აძლევო. რა ვქნა, ე წვრილშიანს მე თი- თონ ვრეცხავ და სხვა დიდ სამუშავოსათვის რომ ალარც დრო მაქვს და ალარც ჯანი; რა წყალში ჩავვარდე, თქვა ქალმა, მკლავები ჩა- მოყარა და ერთს ხანს ისე იყო ისე გარინდებული.

— უქონლობით რომ მოსდიოდეს ეს, კიდევ არაფერი; მაგრამ რაღაცა შეუფერებელი ზე დასჩემდა, ლამის ადამიანს პირში ლუქმა დაუთვალოს. თანდათან უქვავდება ბეჩავს გული, ლამის უდიერი შე- იქმნეს და კაცომძულე, ქრისტეს გამყიდველი, სოქვა ქალმა.



აკაკი და ვანო მაჩაბელი
(სხედა). მარჯვნით სდგას ქ. ანასტასია მაჩაბლისა.



აკაკი და მისი დისწული ანეტა დადეშქელიანისა.

და თითონვე შეკრთა, როცა მსჯელობამ ამ დასკვნამდინ მიიყვანა ის: გაგონილი ჰქონდა, რომ მის ქმარს ამგვარ რამ მეტ სახელს ეძახდნენ და იმან შეაშინა, იმან აგრძნობინა გულის ტკივილი თუ სიბრალული ცხოვრებაში უჯიშოდ ჩაბმულ თვის მეულლისადმი და დაშტერდა ქალი მძინარეს.

არ ვიცი, იგრძნო მოძღვარმა ქალის მზირი თვალი თუ სხეულმა შეარხია იგი: შეიშუშნა, გადმობრუნდა და ცოლის ბალიშისაკენ გადაპხვია მარჯვენა, მაგრამ ადგილი რომ ცალიერი დაპხვდა, გამოელეიდა.

— ისევა გლვიძავს, ქალო! აგერ გათენებაა მოტანებული, შენ კი ტყუილადა პბუგამ ნავთს. ჯერ შენი გალვიძებაა ხოლო მნელი და ახლა დაძინება. ნეტა აკეთებდე მაინც რასმე!

ქალმა უჩუმრად გააქრო ლამპარი და ჩაწვა.

14.

მლვდლის გონებაც განსაზღვრულ საგნისაკენ მიმართა ტყილის-ში გადასვლაზე საუბარმა, მაგრამ მისი საფიქრებელი სულ სხვა იყო და სხვა სახისა.

ტიმოთეს საქმაოდა ჰქონდა სოფლის ნიადაგში ფესვები გადგმული, ზოგი ერთი ჯირკვი ღრმადაც წასულიყო მიწაში, მიეგნო იქ იღუმალად მონაფონ სინესტისათვის და სწოვდა მას, რომ ეკვებნა და დაგბზინებინა ზეალმართული თვისი რტოები. ხუცესის ჰაზრი ეხლა ამ საგანს ევლებოდა თავს. საჭიროც იყო მოეფიქრნა ყველაფერი, რადგან რაც უფრო მეტს აკერძებოდა იგი სააპისოდ მოწყობილ გარემოებებს, იმდენად უფრო რწმუნდებოდა, რომ ის სამლელო ადგილი, ქალაქში რომ თავისუფლდებოდა, არ ასცდებოდა მას. მთავარი საფუძველი ამ იმედისა ის იყო, რომ მას ერთობ დიდი წარმოდგენა ჰქონდა თავისი თავზე და იმ სამსახურზე, რომელსაც ეწეოდა ის სოფლად ამდენს ხანს. განათლებული კაცი, რომელმაც ოდესაც კინალამ შეალო კარი უმაღლესის სასწავლებლისა, და რაღაცა სოფლის მლვდლობა! ეს ისეთი ღვაწლი იყო მოძღვრის თვალში, რომ მთავრობას უსათუოდ უნდა დაეფასებინა იგი და გადაეყვანა უკეთეს ადგილს, უფრო ფართო სამოქმედო მიდამოში. ჩავაქალაქს, ინახულებს ყოვლადუსამლვდელოს, მოუთხრობს ყოველსავე გასაჭირო თვისის ცხოვრებისას, განვენს მის წინაშე გულსა თვისსა, შეევედრება მას და შეპლალადებს.

— აღმოიყვანე, მეუფეო, სული ჩემი საბყრობილით, რამეთუ წარეშირა ნუგეშინისცემა უბადრუქსა მას სულსა ჩემსა!

და იგი ყურადილებს ვედრებასა მისა, დასდებს სასყიდელს მის ღვაწლს, აღიძრის მისადმი თანაგრძნობით, უბყრობს მარჯვენასა და

გარდაიყვანს ადგილსა მას ნათელსა, უხესა და განსასვენებელსა. უბრძანებს:


— ვინაიდგან დაგიყოფიერ წელნი მრავალნი ადგილსა მწირსა დაბალთათანა, აწ დაივანე ადგილსა პოხერსა და შერაცხილ იქმენ გუნდისა მას რჩეულთასა; ვინაიდგან აქამომდე მცირედსა ზედან სარწმუნო იქმენ, აწ მრავალთა ზედან დაგადგინო შენ. მოვედ, კურთხეულო, და დამქვიდრე საყოფელი იგი კეთილი.

მართალია, არც ისე ბნელოდა ტიმოთეს სამწყსოში; არც თუ ისე მცირედზე იყო იგი დაკვირდრებული: მოახერხა ცოლ-შეილის გამოკვებაც, ცოტა რამ ქვეყნიერია ნიკთა შეძენაც; მაგრამ ეს მისი ქრიმი საქმეა და უნარი; მლვდლომთავარმა ეს არც უნდა იცოდეს და არც საქმე აქვს ამასთან არავითარი. ერთი ხინჯი კი მაინცა ჰქონდა ხუცეს გულში, ერთ ადგილიდან მოსალოდნელი იყო მისი განზრახვის წინააღმდეგი მოქმედება, თუმცა იმისთანა აბავი ბევრგან კი ხდებოდა და ბევრისაგან: მოძღვარი ტიმოთე თვის მრევლში სასწავლებელს არა ჰქონიდა და არა! ბევრჯერ მოსწერეს, ბევრჯერ ურჩიეს, კიდეც უბრძანეს, მაგრამ ვერაფერი შეასმინეს. შეტაღრე მას აქა გაჯიქდა ხუცესი, რაც ერთხელ სცადა და ვერ შეასრულა თვისი სურვილი: ახალსავე მლვდლობაში შეკრიბა მან სოფლად რამდენიმე გოგო ბიჭი, აგვევინ-აშედებინა სახლ-კარი, აზიდვინა წყაროს წყალი, ასწავლა შეგადაშიგ ანბანი და მისწერა მთავრობას: სკოლა გავხსენ ჩემსავე სახლში ჩემის ხარჯით და ჯამაგრი დამინიშნეთო, საჭირო თანხაც გადმომეცით შენობის ასაგებადაო. მთავრობამ ახლო გაიცრო საქმე და ვერ დააკმაყოფილი მოძღვრის სურვილი. ამაზე გაწყრა მლვდლელი და მთლად უარყო სასწავლებელიც, მრევლის სწავლებაც. ეს ხინჯი ეხლა მკაფიოდ დაესახა ხუცეს გონებაში და მცირედ შეარყია მისი რწმენა გამარჯვებაზე. მაინც თავს ინუგებდა.

— ჩა ვქნა, თუ ვერ ავასრულე მთავრობის ეს მოთხოვნილება? თითონვე არიან დამნაშავენი. უნდათ საქმეც გაკეთდეს, ფულიც არ დასარჯონ! თითონ ათასობით ილებენ, ჩემთვის ასობითაც არ ემეტებათ. ან კი რა გადარჩებათ, რომ გაიმეტონ!

რაკი მთლად დარწმუნებული იყო, რომ აუსრულდებოდა სურვილი, ეხლავე შეუდგა იმაზე ზრუნვას, რაც შეიძლებოდა მცირე ზარალით დაეტოვებინა სოფელი. აი ამ ფიქრებმა გაირთეს მოძღვარი.

— თუნდ ეხლავე გარდაიცვალოს თომა მლვდელი, მაინც ორი-სამი კვრა გავა, მანამ მლვდელთ-მთავარი თავისი განაჩენს დააწერს თხოვნებს; შემდევ კიდევ ხანი გავა, მანამ ჩემს ადგილს სხვას გამოაწესებენ, ისე რომ ექვსიოდე კვირას მაინც მარჯვებები. საქმარისიც იქნება! წლევნდელ გადასახადებს აკერქებ კალოზე თუ ვე-



ვარლამ გელოვანი ახალგაზრდობაში.



+ ვარლამ გელოვანი შეგირდობის დროს (სდგას მარჯვნით).

ნახებში, ზოგიერთ ჯვარსაწერსაც მოვასწრობ. წინანდელ დარჩენილ დრამის ხომ წინ რაღა უდეა: თამასუქები მიჭირავს ხელში. თუ გაჭირდება, მალხაზის მიუყიდი და მერმე თითონ იცის, რა ტუტას აადენს სოფელს, ფიქრობდა მოძღვრი.

ეს მალხაზ ივანეს ძე გაგეშილი მგელივით ნადირობდა სოფელში: სამსჯავროს გზა და ესწავლა, საყოველდეო კანონები გაეზეპირებინა, თხოვნებისა და საჩივრების წყაროს შესჩვევოდა, სინიდისი ამოქაბა და კეთილი მხოლოდ, ის მიაჩნდა, რაც პირად მისოვის იყო სასარგებლო. სუნით მიაგნებდა, სადაც კი მისოვის ხელსაყრელი საქმე გაჩნდებოდა. მალლა ღვთისა აღარ ეშინოდა, დაბლა აღამიანისა. აი ამ საშიშ აღამიანთან ჰქონდა ტიმოთეს საქმე დაჭრილი და მეგობრობა გაბმული. მალხაზმა იცოდა მღვდლის თამასუქების ამბავი და თვალი ეჭირა მისკენ. რამდენჯერ უთქვამს.

— მამაო ტიმოთე! მამე, გაგინალდო ე თამასუქები; გინდა, ეხლავე მოგცემ მანეთხე ათ შაურს და მთლად გაგანთავისუფლებ მაგ ქალალდებისაგან. მაინც ხომ უჩემოდ ვერ მოახერხებ მაგათ განალდებას.

მართალს ამბობდა მალხაზი, უიმისოდ იმ თამასუქების ფულად ქცევა ძნელი იქნებოდა: ჯერ ერთი, რომ არ შეეფერებოდა მღვდელს ამგვარ საქმებზე სამსჯავროში სიარული და თუ სხვას მიანდობდა ამ საქმეს, მალხაზი არ დასთმობდა, თითონ გამოვიდოდა გლეხთა დამცველად და ოინებს გაუშევნებდა ხუცესს. ამას ყველაფერსა გრძნობდა მღვდელი და ეხლა შესაფერი დრო იპოვა გადაეცა საქმები ამ კაცისათვის. თითონ ხომ სოფელში აღარ იქნებოდა და რა ენალებოდა, მის შემდეგ რა მოხდებოდა მის მრევლში.

— მხოლოდ ნუ ჰყონია მალხაზის, რომ ნახევარი დაუთმო, მეტუთედიც ეყოფა; მანეთხე რომ ერთი აბაზი იოლოს, სხვა რაღა უნდა? მე ვიცი, დიდი შრომა დასჭირდება სამსჯავროში გაჩვევულ!

მაინც ამდენის მიცემაც ეძნელებოდა მღვდელს და ჯერ ისევ ყოყმანობდა.

— ნიკოლას დუქანში რომ კოტაოდენი თანხა მაქს ჩაყენ-ბული, დეე ჯერ ისევ დარჩეს იქ, მაგრამ ეხლა თუმანი აბაზობაზე მაინც უნდა დაიწეროს. ვეტყვი, ყმაშვილი მიმყავს ქალაქში და ფული მიჭირს მეთქი. თუ მომცა, რა კარგი, თუ არა და თამასუქს გამოვაცვლევინებ.

ხუცესს ცარგებლნა მეტვრიმანე ნიკოლას გაჭირვებით და ფული ესესხებინა მისთვის. ეხლა სუყველაფერს იქა ვაჭრობდა, ხშირი სტუმარი იყო დუქანში.

— ისიც უნდა გაიყიდოს, რაც სახლში საქონელი თუ მფრინველია ან ავეჯეულობა. აფსუს, რომ ჩემი დარგული ხეხილი სხვას უნდა დარჩეს, ჩემს მოადგილეს. რათო?! ვეტყვი, კოტაოდენი ფული მომცეს ჩემს ნაშრომში, თუ არა და მთლად გადასჭრი ხეხილებს. ქვეყანაში იცის, რომ ჩემ მოსვლამდის ერთი ნერგიც არ იდგა ამ გზა-ყურეში.

დაკვირვებით იქვლევდა ხუცესი, რას უზამდა ყველა წვრილს ან როგორ გაასალებდა, რომ რაც შეიძლებოდა მეტი ფული აელო ხარახუაშიც. ამ თავის ფიქრებს ჯერ არ უმხელდა კოლს, რადგან ის ვერ შეიგნებდა ქმრის ანგარიშს და იქნება ზოგ რამეშ არც კი დასთანხმებოდა მას.

— გულჩირალი დედაკაცია, გაუნათლებელი. იმასა ჰგონია, შეიძლება ამ დროში ცხოვრება, თუ კაცმა ყველაფერი არ იანგარიშა,

თუ მაგის უოველივე ნაბიჯი ზუზვივ არ გამოზომა და სასტიკად, ფიქრობდა მღვდელი.

და ნანობდა, რომ თავისისავით ანგარიშიანი და ცხოვრების მცოდნე მეუღლე არ შეჰვდა, რათა შეეგნო ყოველივე მისი მოქმედება, დაედასტურებინა და თითონაც ამავე საზომით მოეზომა საქმე. მართალია, პირადი მოთხოვნილება კოტა ჰქონდა მარინეს, მაგრამ სარჩეს მოხვევის უნარი აკლდა; მის ხელს გაცემა უფრო ეხერხებოდა, ვიდრე მობოჭვა; არ იცოდა გულუბრყვილომ, რომ ფულის შეძენამ სრულებით არ იცის სიბრალული და თანხას არაფერი საერთო არა აქვს ჩვილ გრძნობებთან.

— ეჭ, განათლებული რომ იყოს, წაკითხული რომ ჰქონდეს გამოკვლევები თანხის ზრდის შესახებ, მაშინ ეცოდინებოდა, რომ ფულისადმი მისწაფება და კეთილი გრძნობები შეუზომელნი არიან და ვერა თავსდებიან ერთმანეთში; მაგრამ ვინ მარინე, სად ამ კეშ-მარიტებათა შეგნება!

15.

— ბედი შემწევს! ზეგ-მაზეგ უნდა წამეყვანა ბალლი და ი კაციც უკვე გარდაცვლილა; არზის მიცემის დროა, სოჭვა ტიმოთემ, როდესაც გასხნა წერილი.

შინ რომ მივიდა, კოლს გადასცა წერილი და უთხრა.

— მაინც ხომ უნდა წაესულიყავ ქალაქს და აი საჭირო საქმე გამიჩნდა.

კოლი დაეთანხმა, რომ მართლა მარჯვედ მოეწყო გარემოებები და იმედი გამოსთქვა, მღვდლის განზრახვა კეთილად და სასურველად დამთავრდებოდა. მესამე დღეს წავიდა მოძღვარი ქალაქს და ბავშიც წაიყვანა. რომ ჩაიდა, აბაზო ნახა, გამოეწყო ახალ ტანისამოსში, გადივარცხნა თმა-წვერი და გასწია მთაგრობასთან წარსადგომად. ტიმოთეს ეგონა მღვდელომთავარი კერძოდ მიმიღებს, დამსგამს სასაუბროდ და მეც განუმარტავ ჩემს გარემოებებს, გავაცნობ ჩემს თავს. შესცდა: მისმა მეუფებამ იგი მიიღო საერთო დაბაზში სხვა მოხველებთან ერთად, ჩამოართვა არზა და, რომ დაპრირ თვალი მის გვარს, თითქო რაღაც მოაგონდა.

— მამაო, სკოლა გაქვს მრევლში? ჰყითხა მან.

— არა, თქვენო მეუფებავ, მაგრამ...

ყოველადუსამღვდელომ ორ აზროვანად შეხედა მას და მიუბრუნდა სხვა მოხველებს. ცივ წყალ გადასხმული გამოვიდა მიმა ტიმოთე სასახლიდან, კოტა შეყოყმანდა და შებრუნდა იქვე სამ-

დინოში, სადაც ნაცნობი მოხელე ეგულებოდა. იქ განუმარტეს მას, რომ ყოვლადუსამლვდელოესი სხვანაირად ვერც მოიქცეოდა რადგან დრო არა აქვს, ყველას სათითაოდ და დაწვრილებით მოუსმინოს სათხოვარი.

— თხოვნაში ხომ ყველაფერი მოიხსენიე და განმარტე, სხვა რაღა გინდა. ვის დააწერინე არზა?

— არზა მე თითონ დავსწერე, ვისთვის უნდა დამეწერინებინა?! სოჭვა ამაყად მღვდელმა, მხოლოდ იქ მოქლედ გსთქვი სათხოვარი; მეგონა, პირად მოვახსენებდი ყველაფერს.

— ტყუილად გვიჩერი! სჯობდა უფრო გამოცდილი კაცისათვის დაგეწერინებინა არზა, მოუგო მოხელემ და მიუბრუნდა თავის საწერს.

საქმის ამგვარი მიმოხვრა არ მოეწონა ტიმოთეს და შეკრთა; მიხედა, რომ უკეთესი იქნებოდა ჯერ სამდივნში შესულიყო, გამოეკვლია საქმის ვითარება, ცოტაოდენი რამ დაეხარჯა, არზა გაეკეთებინა და დარიგებაც მოესმინა უფრო გამოცდილებისაგან. გვიანდა იყო! ნაწყენი გამოვიდა მღვდელი, დაიფირებული. უნდოდა როგორმე გამოებრუნებინა ხელიდან წასული საქმე, მკვიდრ ნიადაგზე შეეყენებინა იგი და ამ გაჭირვებაში მხსნელად დაისახა ქართველი ეპისკოპოსი, რომელიც იმ უძად ქალაქში სცხოვრობდა. გასწია მისკენ.

მღვდელთმთავარი თითქმის ტიმოთეს კბილის კაცი იყო, სულ სამი კლასით უფროსი. ხუცესი სასწავლებლიდანვე იცნობდა მას. მერმეც ენახა: ერთს დღესასწაულში სწირა მასთან ერთად, სიტყვაც კი წარმოსთქვა ამბიონიდან. უბრალო კაცი იყო მწყემსმთმთავრი, გარეგნობას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, მდიდრული ჩატადახურვა არ უკვარდა, მედიდურად სუფევა და მბრძანებლობა არ მოსწონდა. წიგნს მისდევდა, კარამი მარჯვედ ეჭირა; ენაც უქრიდა: თუ აღიგზნებოდა, მცვერმეტყველების ბჭეთამდის აღიწეოდა. მემრე კი ისევ ჩანელდებოდა, ჩაქრებოდა, ჩანავლდებოდა, თუმცა ფერფლ ჭვეშ მარად ულვივოდა გრძნობა ცუცხლებრივი. წინდაუხედავი პირდაპირ დაავლებდა ხელს ამ ნავლით შეფერფლილ ნაღვერდალს და ხელს დაიდაგამდა სწორედ მაშინ, როდესაც სრულებით არ მოელოდდა.

მოახსენეს, ხუცესსა ჰსურსო თქვენი ნახვა. მიიწყიეს. მამა ტიმოთე შევიდა ფარჩის ანაფორის შრიალით, წალების ჭრიალით. ბერი ძაბაში გამოვეული დახვედრა. ხუცესმა გაულიმა და შენდობა მოსთხოვა.

— ტიმოთე გახლავარ როდინაშვილი, ჩართაულის მღვდელი. ალბად გახსოვთ, ამ ორი წლის წინად თანამწირველიც ვიყავი თქვენი.

— როგორ არა! დაბრძანდით. რისთვის გასჯილხართ?

მღვდელი ფართედ ჩაჯდა სავარძელში და ხასად შემოილო ფეხ-ფეხს.

— ბალლი ჩამოვიყანე სასწავლებელში. მინდოდა გიმნაზიაში გამზარდა, კიდეც ვამზადებდი საიმისოდ, მაგრამ ისევ სასულიერო სასწავლებელი ვირჩი: დევ ისიც ისევ ეკლესის ემსახუროს! ჩემთვისაც უფრო შელავათი იქნება: საეკლესიო ხარჯზე გამიზრდიან ბალლს.

— საეკლესიო ხარჯზე? არა მგონია! ობლებს და საწყალ დიაკვნის შვილებსაც ვერა სწვდება იგი ხარჯი. მაგრამ რა ვიცი, თითონ იციან თავიანთ საქმისა.

— გაშ ვიღაცა დიაკვნის ბალები უფრო პატივში ყოფილან, სანამ განათლებული მღვდლის შვილები; მე კი მეგონა, მთავრობა დააფასებდა ჩემს სოფლად სამსახურს. იმისი იმედიცა მქონდა, რომ თქვენ უბრძანებდით მიეღოთ ბალლი.

მღვდელთმთავარს არ უამა არც მისი მსჯელობა, არც მისი ხასი ქცევა და აილეჭა, მაგრამ მოსულმა ვერ შეამჩნია ეს და განაგრძო.

— მაშ რახან ეგრეა, სხვა საქმეში მაინც უნდა დამეხმაროთ.

— ბრძანეთ!

— დეკანიზი ფრიდონაური რომ გარდაიცვალა, იმისი ადგილი ვითხოვე და იმედია დამეხმარებით მთავრობის წინაშე, რომ არ ამ-ცდეს ის ეკლესია.

— მაგისთანა საქმეებში არ ვერევი საზოგადოდ და არც განსაკუთრებითი რამ საბუთი მაქსე, ეხლა დაგარღვით ეს წესი.

— გაშ ტყუილი იმედი მეონი! მეგონა, ქართველი მღვდელთმთავარი დამეხმარებოდით ქართველ მღვდელს.

მწყემსმთავარმა ველარ შეიმარა თავი.

— მაინც რა განსაკუთრებითი ლვაწლი მიგიძლვისთ მრევლისათუ ეკლესის წინაშე, რომ გაგარჩიოთ სხვებისაგან, უთხრა მან და გადასახა ჯვარი.

კარგი ქმნა, რომ მალე დაითხოვა, თურემ მთლად გამოვიდოდა მოთმინებიდან და წააყველრიდა ყველაფერს, რაც იცოდა მან ტიმოთეზე. ცოდნით კი ბევრი იცოდა, რადგან მეზობელმა მღვდელმა მაშინ, იმ დღესასწაულის დროს, საკმაოდ დაუხატა მას ტიმოთესზე ებრივი სახე და მისი მრევლში მოღვაწეობა. მაინც მსწარაფლ დაყუჩდა ბერი და რამდენიმე მამაშვილური დარიგება მისცა ხუცესს, სინამ გაისტუმრებდა.

დამუხლესთავებული მღვდელი არ დაპირისებულდა ბედს და სამდივნოს მმართველის შემწეობით მოახერხა მთავრობის ნახვა. ნეტა არ ენახა! როგორდაც შეერთა, აღეოდა, ჰაზრები აეფურტკნა და მწყობრად დალაგებულ-დამზადებული ფრასების უშნო ნაფლეთებილ შერჩევა ენაზე. დარცხუენილი გამოვიდა ბოლმა მორეული და აჭარბლებული,

16.

იმედ გაცრუებული წამოვიდა ტიმოთე ქალაქიდან, გაწილებულ-გამწარებული, შეურაცხოფილი. ძლიერ გათახსირებულადა გრძნობდა თავს. თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა, რომ ისე ცივად და უპატიურად მოებყრობოდნენ მას ქალაქში. პირველად რომ მივიდა ხუცესი სოფელში, ახალ მღვდელობას, გაზვიადებული თვითმოყვარება-მიიტანა თან, თავის თავზე დიდი წარმოდგენა; ეს მისი გრძნობა იქ უფრო გაძლიერდა და გამდლავრდა, რადგან მეტოქე არავინ დაუხვდდ წინ, არც კბილის მომქრელა, რომ ჩაეფიქრებინა კაცი. ყველგან მისი სიტყვა გადიოდა, მისი თქმა თუ ქცევა საგანგებოდ მიაჩნდათ, სწავლა სანიმუშოდ. ბევრგან სრულდებოდა მისი სურვილი. მეტად-რე იმის შემდეგ ებყრობოდნენ კაცს მორიცებით, რაც თანხა რამ ჩაიგდო ხელში, დაბეგრა სოფელი კანონიერის ხერხით და აგრძნობინა თავისი მარჯვენა, არა მაკურთხებელი მარჯვენა, არამედ მძიმე და დაბლა დამხერელი. მართალია, თავისთავად არც თუ დიდად მძლავრი რამ იყო ხუცესი, მაგრამ ჩაბნელებულ და განადგურებულ სოფელში ესეც კაროდა. აი ამ გარემოებებმა შეამღვის საღი წირმოდგენა მღვდლისა თავის თავზე და თავის ქცევაზე. როდესაც ქალაქში დაუბირდაპირდა ის უფრო ძლიერ ხალხს, მოქნილს და დამუკიდებელს, დაინახა თავისი სიმკირე და თვის დაჭარბებულ იმე-დების უსაფუძღლობა; იგრძნო, რომ მისი ზეიადობა მეტი იყო და მოთხოვნილებები დაუმსახურებელ.

— რა მომივიდა! ენაც კი დამება ი არქიელის წინ, რუსულიც კი ველარ მოვახერხე; ხომ მომზადებული მქონდა სათქმელი, მაგრამ მაინც დავიბენ; მე თითონ ვატყობდი, შეცდომები რომ მომდიოდა ფრასებში. აკი იმასაც გაუკვირდა, როცა ქალაქი და მოუკიდებელს, დაინახა თავისი სიმკირე და თვის დაჭარბებულ იმე-დების უსაფუძღლობა; იგრძნო, რომ მისი ზეიადობა მეტი იყო და მოთხოვნილებები.

— წიგნები უნდა იყიდო, მამაო, ახალი ცოდნა დასძინო ძეელ ნასწავლს, თორემ ძეელიც პირაპირ წინწანაქარივით ამოგირება და მუავე შეალი შეგრჩება ხელში.

— იყიდო! თითონ გაბრწყინვებულან გულსაცსენი და თუნდ წაიკითხამენ, თუნდ დასწერამენ; მე კი ათასთ საზრუნველი მაქსეს, რომ ოჯახი არ დავამშეობი. ასწავლეო ბალლებს, უქადაგო მრევლს, გულმტკივნებულად მიხედე შენს ეკლესის; ნუ შეუმძიმებ სოფელს ყოფას; მცირედა ზედან სარწმუნო იყავო! აღვილი სათქმელია ეს მათთვის, მრავალთა ზედან დადგენილთათვის, ფიქრობდა მღვდელი. მაგრამ თითონვე გრძნობდა, რომ მისი მსჯელობა არ იყო ხალასი სიმართლე, და უფრო ჯაგრდებოდა. გარკინავებული იჯდა ცხენზე, მგზავრებს უზრადლებას არ აქცევდა, თუმცა ისინი შენდობასა სთხოვდნენ მას.

— ჩემი ჩარი გამოვიყანე სასწავლებელში კაცების გულსაცსენი და თუნდ წაიკითხამენ, თუნდ დასწერამენ; მე კი ათასთ საზრუნველი მაქსეს, რომ ოჯახი არ დავამშეობი. ასწავლეო ბალლებს, უქადაგო მრევლს, გულმტკივნებულად მიხედე შენს ეკლესის; ნუ შეუმძიმებ სოფელს ყოფას; მცირედა ზედან სარწმუნო იყავო! აღვილი სათქმელია ეს მათთვის, მრავალთა ზედან დადგენილთათვის, ფიქრობდა მღვდელი. მაგრამ თითონვე გრძნობდა, რომ მისი მსჯელობა არ იყო ხალასი სიმართლე, და უფრო ჯაგრდებოდა. გარკინავებული იჯდა ცხენზე, მგზავრებს უზრადლებას არ აქცევდა, თუმცა ისინი შენდობასა სთხოვდნენ მას.

— ჩემი გამოვიყანე სასწავლებელში კაცების გულსაცსენი და თუნდ წაიკითხამენ, განათლებული კაცი რომ ხარ, ნათელი ქრისტესი უნდა მოპონინ შენს სამწყისოს; ისე არა ჰმესახურებ ტრაპეზეს, როგორც შეეფერება მის სიწმიდესა; ვერცხლის ბჟყვრიალის თვალი მოუჭრა შენთვის და წმიდა მოვალეობა დაგვიწყებიათ. თითქო თითონ კი დიდი მორწმუნე იყო და იმისთვის შესდგა ბერად! მღვდელობაც ხომ ისეთივე სახელმწიფო სამსახურია, როგორც ყველა სხვა მოხელეობა და როდის არ აგასრულე ჩემი მოვალეობაზე რომელი დავტოვე მოუნათლავი ან მოვალეობელი? სკოლა გახსენიო. დავტოვე მოუნათლავი ან აგასრულებელი? სასყიდელი? ალბად უწინ იყო ის, რომ უსაფუძღლოდ იღებდნენ და მუქთად ურიგებდნენ. ჩემთვის არც არავის მოუცია რა უსაშიდლოდ, ვერც რასმე მივცემ უფასოდ.

(შემდეგი იქნება).

ვ. ბარნავი.